

572 / 2
1389

1989 წ. აგვისტო № 8

ISSN 0135-2965
საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ბიჭა



საქსახსება ობიექტები

წესწესი

კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იაფად ვერავინ იყიდის.

ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მადალია, სიმაგრე დაურღვეველია.

ამხანაგი ღვინი ფრადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია.

ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნება, უცხოს თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურება.

ამხანაგი მართოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქცეველია.

ამხანაგი ჭირში მომხმარია, სწეულებაში მკურნალია, სიკვდილში თავის წამგებია.

ამხანაგის უკეთესსა შენ რას იშოვნი? რად გძულან, რად ეშუღვლი, რად ეკამათები?

ამხანაგში თუ არ სიყვარული, საქეშპო არა არის რა.

მამულიშვილება

ლია კობალაძე

როდესაც ამართლებ
 აღშრდელთა იმედებს,
 სულ მცირეს იღებ და
 ასჯერ მეტს იმეტებ,
 როდესაც შენს ირგვლივ
 შენც ებრძვი სიავებს
 და ცდილობ ეოველთვის
 სწორი გზით იარო,
 როდესაც გიქებენ
 ქცევას და ზრდილობას,
 ეს არის, პატარავ,
 მამულიშვილობა!

შენიდან ვერება ფესვები დიდ მიზანს,
 შენიდან იწყება ცხოვრების დიდი გზა,
 შენიდან — სწავლით და ბუჯითი მოქცევით —
 ბარტყობს და ფრთებს ისნამს
 ზღაპრული ოცნება...
 რომ გაითავისებ
 სხვის დარდს და ჭრილობას,
 ეს არის,
 ეს განსაზღვრავს
 მამულიშვილობა!..

1983x



მხატვარი **ლალი ლომთაძე**
 დახატა: **კ. დარეჯანი**
 საბავშვო ჟურნალი
 მამულიშვილება



სხვა, თათრი ბავია

თინა ჭანიძე

მინც, რა კარგ დროს არის ეს არდადეგები: ყველაფერი მწიფს, თან რა ფერები! სოფელში თუ ხარ, ხომ მთლად უკეთესი! შენი ვარდისფერი ბალი არ მოგეწონება? მეზობლის შავი ბალი მიირთვი, ვინ დაგიშლის! მაგრამ ადამიანის გული ხარბი რომ ყოფილა?!

ერთ მშვენიერ დღით, თვალი არც მქონდა წესიერად გახელილი, ღია ფანჯრიდან ჩვენი ბალის ბლის ქურდების — შავი შაშვების საქმიან ჩაქაჩაქაჩებებს უურს ვუგდებდი. უცებ ვილაცამ საგვიანო მწვანე ატამი შედ ცხვირზე მომაწყიპურტა. გავიხედე — ზაზა და თაზო! ტყუპები არიან, სქელუები, ეგენიც ბებიასთან არიან სტუმრად. — რა იყო ბიჭო, ქანდარაზე ხომ არ გეძინათ-მეთქი, — ვეკითხები, თან თვალებს ვიფშვინტ.

— რა და... წისქვილთან წითელი გოგრა ბალი მწიფს, ბიჭო!

— არ გამოვა, ღობე ტრიფოლიატი-საა, — ამბობს ზაზა.

— საძრომი აქვს, ბიჭო!

— რა საძრომი?

— რა და — ღორების ნაგუმკაოთი, ოღონდ პატარა ჩხირებია ჩასმული, ხითხითებს თაზო.

— ჩხირებს ამოვადრობთ და... — ქერა თმას იჩეჩს ტყუპისცალი.

გამიგონია, ტყუპები ერთნაირები უნდა იყვნენო, მაგრამ ამათი შემყურე ძალიან დაიბნევა ადამიანი: ერთი მალაღლია, მეორე — დაბალი; ერთი ჯოჯოხეთის მამხალასავით გამურულია, მეორე — ქერა. პირველად რომ გავიციანი, არც კი დავიჭერე მაგათი ტყუპისცალობა.

ახლა სხედან და მიუყრებენ, მელოდებიან, რას ვიტყვი. მეც ხათრს ხომ ვერ გავუტეხ და...

— წავედით! — ვამბობ და მივდივართ. გზაში ბებიჩემი გვხვდება. დიდი გრძელი წკებლა უჭირავს, ძროხები გაუდენია საბალახოდ.

— საით მიდიხართ? — საეჭვოდ, შედმტუად დამტკბარი ხმით ვვეკითხება.

— ისა... ამათ ხზო გაქცევით და... მოვნახვით და ახლავე მოვალთ.

— კარგი. დასაძახებლად არ გამომიყვანო, იცოდე!

მივედით წისქვილთან. შემოვუარეთ. საძრომი მართლაც დიდია, ამოვადქრეთ ის დაწყვეტილი ჩხირებიც და — ბალიც ორ ნაბიჯზეა, ჯერ მე ავედი, მერე ძმები ამობობდნენ, ის დაბალი ზაზა ძლივს ამოვართიეთ. ვკამთ. იმისთანაა, იმისთანა, რომ... აქეთ გამოვიხედე და კურკები სასულეში გამეჩხირა, დგას ვილაცა — სხვა ბებია — უმწიფარი ჭანჭურის ძირში, „ჩვენი“ ბლიდან ორ ნაბიჯზე, და ილიმება.

ხველებისაგან ჩავლურჯდი და გავშემდი! ტყუპებმაც დაინახეს, ეტყობა, და თვალის დახამხამებაში სადღაც გაქრნენ. მე, როგორც იყო, სული მოვითქვი და სწრაფად დავიწყე ჩამოცოცება, ქვემოდან კი ის უცხო ბებია მელაპარაკება:

— წყნარად, შვილო, ნელა, არაფერი

მოიწიო. აგერ, შენს ქვევით რომ ტოტია, ის მომიტეხე, მეც მინდა ბალი!

მგონია, მესუშრება ეს თეთრი ბებია — თეთრები აცვია, თავზეც თეთრი ახურავს. მოვტეხე ტოტი და ჩამოვტეხი, ბებია მ ხელი შემავშელა. მაკანკალღებს, მრცხვენია, აგერ-აგერ, ყურში ჩამავლებს ხელს, მაგრამ არა! გავბედე და ავიხედე. იღიმება. კაბა კი თეთრია, მაგრამ თავზე არაფერიც არ ახურავს, თმა ჰქონია თეთრი, ქალღღიღით.

— მოდი, დაჯექი, — მეუბნება, და ბუჩქის უკან ხის სკამზე ჯდება. მეც ვჯდები. მეკითხება: — ვისი ხარ, ბებო, შენ? ვაიმე, რა ვქნა?

— მიშიკო პატარაისი, — გავბედე თავდახრილმა.

— მივხვდი, კი, გავხარ მიშიკოს. შენ ხელა რომ იყო მამაშენი, ომი იყო მაშინ. ჩემი ბოცო წაიყვანეს. მამაშენი მიშიკო ჩაჰკიდებდა მამიდაშენ ცირას ხელს, მოვიდოდა ჩემთან და მეტყუოდა: — მარია ბიცოლა, შეშა ხომ არ დაგიჩეხოო? — არა, შვილო-მეთქი, ვეტყუოდი. აბა, ისე პატარას შეშა როგორ უნდა დაეჩეხა! მაშინ ძროხას მოგიდენიო; თან ცირას უწყრებოდა, ყველაფერზე თვალი ნუ მიგირბის, შე მატრაკვეცაო. ავუსვებდი მამაშენს ბალზე და მე და ცირა ვიჭერდით კუნწულებს. ახლა, რა ხანია, არ მინახავს მამაშენი. შენ გიშვებს ხომ, თავის მაგივრად? მე კიდევ მეგონა, შენ იყავი მიშიკო. დამავიწყდა, დიდი დრო რომ გავიდა, ჩემი ბოცო კიდევ არ დაბრუნებულა. ვიცი, ცოცხალია სადღაც და აქეთ არ უშვებენ...

ავიხედე. სადღაც შორს იყურებოდა, ძალიან შორს. მე კი, მე აბა რა უნდა მექნა! ისევ თვითონ მისხნა უხერხულობისაგან.

— ბებიაშენი ცაცა გეძახდა. წახვალ?

— წავალ, — ვთქვი და ავდექი.

— აბა! ეს ბალიც წაიღე, მე არ ვკამბალს და არც სხვა ხილს. ჩემი ბოცო არ კამს თავის ეწოში მოწეულს და მე როგორ

უნდა შევკამო. წადი, ბებო, ნუ გეშინია, ხვალაც მოდი და ზეგაც. მალე მსხარდობი დამწიფდება. ის ბიჭებიც მოიყვანე. ადგა, ხელი მომიკა, ბალი გადავჭერიო და ჭიშკართან მივედით. იქ ბებიაჩემი იდგა, დიდი თუთის წყეპლა ეჭირა და ხელი რომ მომიკა, იმ სხვა, თეთრი ბებიას ხმა წამოგვეწია უცბად:

— ცაცა, ხელები გაგიხმეს, თუ მაგ ბიჭს შემოჰკურა, იცოდე!

ბებია მ სულ ჩიქჩიქით მარბენინა სახლამდე. საღამოს კი, უკვე ლოგინში ჩაწოლილს, მითხრა:

— ღორების საძრომიდან რომ არ შემძვრალიყავი, ეწოდან ვერ შეხვიდოდი, ადამიანურად? კიდევ კარგი, მარიაში შეგხვდაო, თორემ აბა სხვის ეწოში გეძრომილათ ასე, გაჭირვლებდნენ გვერდებს და ახიც იქნებოდა. მეც წაგიმატებდი! ბალი არ არის, ბიჭო, ჩვენს ეწოში?

მერჩია, მიწა გამსკდომოდა და ლოგინიან-საწოლიანად ჩავეტანე შიგ, მაგრამ არც მიწა სკდებოდა და მეც, ბებიას შემარცხვენელი, ურცხვად ვიწეკი მისი ხელით გაქათათებულ ლოგინში...

ღამით კი ის სხვა, თეთრი ბებია დამეხიწმრა... იდგა თავის ჭიშკართან და იუურებოდა სადღაც შორს, შორს...



მხატვარი ვაჟა ქარხული

ნოსტივისაგან პონოღეა



გუგადრება
 ზაწაწინა ქაღალბტონს,
 ტანსაცმელი
 მთელ ბინაში გაფანტო?
 როგორ ფიქრობ:
 ეს ტანსაცმლის საკიდი
 რისთვის არის
 ამ ოჯახში ნაუიდი!
 რა მოხდება,
 ჩვენც აუღვეთ და ჩვენც ვუფანტოი
 ეს ხალაბი,
 ეს შარვალი,
 ეს ზალტო...
 ნათიასი,
 ლეუანისა,
 გოგისა!
 ზოგი — სკამზე,
 ზოგი — სად და
 ზოგი — სად!
 როგორ ფიქრობ:
 ეს ტანსაცმლის საკიდი
 რისთვის არის
 ამ ოჯახში ნაუიდი!



ფლომასტერი

ჰა შენ, ანი, ფლომასტერი,
 ფლომასტერი,
 ფლომა...
 ბლომანქე და
 ბლის მურაბა
 დაგვისატე
 ბლომად!
 ეს აგვისტოც მიიწურა,
 დადგა შემოღვომა!
 სხამთრო და
 შწიფე ნესვიც
 დაგვისატე ბლომად!
 ფლომასტერი,
 ფლომასტერი,
 ფლომასტერი,
 ფლომა...
 ეველაფერი,
 ეველაფერი
 დაგვისატე ბლომად!



კაჭკაჭი და ტყუპები

მეზარ კვიციანიშვილი

ბღღს ეწვია კაჭკაჭი
მარდი, კუდანრეხილი,
ანტა, დასტა — ორ წუთში
მოიარა ხესილი.

ორ დას, ტყუპებს, დასციინის,
თან ბღღს ტოტსე ქანაობს, —
მიკვირს, ვერ გისწავლიათ
დღემდე ანაბანაო.

ღებმა უთხრეს, — გემლებე,
ვიციტ წორაც, ციფრებიც,
თუ არ ვჯერად, შესნ ბარტკებს
ხვალეუ შევეჯობებოთ.

მოდ, თუ შეგვილია,
ჩვენც გვასწავლე ფურენაო,
თუ არა და, ჭარტალავ,
დააეყნე ენაო.

კაჭკაჭმა თქვა: — გესმერთ,
განა ასე ვცდებოთ,
მთელს უბანში სად არი
თქვენისთანა დებოა?!

ერთს გონოვთ,თუკი ეს თხოვან
თხოვანდღე არ დარჩება:
ერთხიარად ნუ იცვამთ,
მიჭირს თქვენი გარჩევა.





მეხსუბი ლეკონი

ნოდარ ივანიძე

საქართველოს უძველეს მხარეში — მეხსეთ-ში შემორჩენილია მრავალი ლეგენდა ამა თუ იმ სოფლის თუ ნასოფლარის სახელთა წარმოშობის შესახებ. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს.

ბ წ მ მ ი ტ ბ (სოფელია ახანძის რაიონში)

თამარ მეფე თურმე ბასიანისკენ მოუძღვებოდა ლაშქარს. დალილუმბა ერთგან ბანაკი დასცეს დასასვენებლად და დასანაყრებლად. ის იყო, პურობა დაძთავრდა, რომ თამარის დაბმულმა ცხენმა თურმე აიწვეიტა და დაიჭიხინა. მეფეს გაუხარდა, — ეს კარგი ნიშანია, გამარჯვების მომასწავებელიო.

ბასიანის ომის ძლევაშისილი დაძთავრების შემდეგ კი ამ ადგილისათვის აწვეიტა დაურქმევიათ.

ბ ნ ე ლ ბ

აწვეიტას გვერდით არის ნასოფლარი ბნელა. ლეგენდა გვიამბობს: ხერთვისში ოსმალები იდგნენ. ერთ იქაურ კაცს უბრძანეს, რჯული შეიცვალეო. ის გაექცათ და ერთ ციხეს შაფარა თავი, მაგრამ შეიპყრეს და გაათარება მოსთხოვეს. კაცმა უთხრა, მადროვეთო. მერე მაჯა გადაიხსნა და ციხის კედელზე საკუთარი სისხლით დაწერა: „სიცოცხლე აქ დამიბნელდა, ამ ადგილს ერქვას ბნელაო“.

ასე მოკვდა ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული ერთი უსახელო ქართველი.


რ (ო კ მ ი ო

დიდი ხნის წინათ ეს ადგილი გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული. ხეთა სიმრავლეს შეუფერხებია მომხდური. მტრის სარდალს უბრძანებია, როკეთ, ესე იგი კაფეთ ტყე და აღვილად გავალთო. მერე ამ განეხილი ტყის აღვილას სოფელი გაუშენებიათ და დღემდე მას როკეთს ეძახიან.

შაბაბასის ერთ-ერთი შემოსევის დროს, ცხე-ჯავახეთი უმოწვალოდ აუობრებით, შაჰს შეუტევა, რომ ერთ ქართველ სარდალს უბრძანებენ, რომ ერთი ცოლი ჰყოლია, — უბრძანებია, ორივენი შეიპყროთ და მოჰკვარეთო. მისი ბრძანება შეუსრულებიათ. ქალის შვეწნებებში მოხიბლულ შაჰს ქმარი იქვე მოუკვლევინებია, ქალისთვის კი ჯვარი ჩამოუვლევიათ, უნდა სარწმუნოება შეიცვალეო. ქალს მუდარით უთხოვია, ნება მიმეცე ნება დაურთავეთ. ჯვარში ქალს საწამლად ჰქონია, შეუსვამს და უსულოდ დასცემია ქმრის გვამს. მათი ურთიერთგადაჭობილი სხეულები ჯვარივით იყო თურმე გართხული მიწაზე. შაჰის ერთ მსახურს დაზაფურულს წამოუძახნია: ეს ქალთა ჯვარია, უფრთხილდითო.

ქ ვ ა ნ ც ხ ე ლ ი ე ბ ი

დღეს ამ ნასოფლარ-ნაკელსიარში მიწის-ქვეშა სამალავია შემორჩენილი. როცა მას აკეთებდნენ, თურმე ერთი კაცისათვის რძალს სამხარი მიუტანია. მამამთილს უთხოვია, ერთი ქვა მომიტანე, დაჯვდეო. მზეზე გახურებულ ქვას ხელი დაუწვია ქალისთვის, ვაი, მამა, ქვა ცხელიაო, — დაუწვიათ. ამიტომ დარქმევია სოფელს ქვაცხელია.



დათურავს დასცხათ

ზზინა ჩხაბინინი

ამ სიცხეს ვერ გადაურჩებით!
რატომ შეცდა მამანვენი,
რად გუიდა ტეპუჭები? —
აბუსლუნდენ დათურები.
და ზეჰელას, სიფრიფანას,
გაბოლეს ხარბად თვალნი,
— აფსუს, ერთი ამისთანა
მოსატული ხარფანი!



წიგნი

ნელი ბაბრინიძე

ნეტავ, ზური რომ ვარდება,
რად ეწოდება „კუტი“?
რატომ ატარებს ნათურებს
თვალებით ჩვენი კნუტი?
ციცინათულებს ქალაქში
რატომ არ უუვართ ფრენა?
თევზებს თუ ესმით ჩიტების
მომახილი და სტვენა?
რატომ გაურბის ერთმანეთს
სხივი შხისა და მთვარის?
რატომ არა აქვს ქარს ფერი
და... სინმარს თუ აქვს კარი?
— წიგნი აგისხნის ეველაფერს,
ბრძენი შეგობრის დარი...



მხატვარი ელზარდ აგოიკაძე

1990 წელს 150 წელი სრულდება აკაკი წერეთლის დაბადებიდან. „დილის“ მკითხველებს უსათუოდ დააინტერესებთ, თუ როგორ უცხოვრია და უღვაწია ქართველები სათვის სასიქადულო ამ ადამიანს. ამიტომ ჩვენი უფრანლი იწყებს ნაწევებში სწავლას აკაკიზე შექმნილი ახალი წიგნიდან.

აკაკი წერეთლის ცხოვრება



აკაკი წერეთელი

აკაკის სახლი სსსრ-ში. ლაგაძე. ბაქო.

ეს წველა ქართველისათვის ძვირფასი სახლია და თუ აქამდე არ გინახავთ, უსათუოდ უნდა ნახოთ. აკაკის სახლი იმერეთშია, საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში და მდინარე ჩიხურას პირზე, შემაღლებულზე დგას.

ჩიხურა მთის პატარა

გვიძაძე მდინარეა, რომლის ხმაურიც პატარა აკაკის ნანახავთ ჩაესმოდა. აკაკი ჩიხურაში საბანაოდ ან სათვეზაოდ რომ ჩადიოდა, ამოსვლა აღარ ავონებოდა. თავისი თავიც პირველად იმის ვიწროებში დაინახა და ამიტომაც ამბობს: ჩემი პირველი ემბაზი და სარკე ჩიხურა იყო.

საჩხერიდან სხვიტორისაკენ მიმავალი გზა ბოლოს აღმართს აუყვება და უცვრდელ გონჯიხევის მთის ძირში ამ ქვიტორის ორსართულ ობან სახლთან შექნერდება.

მისი აივანიდან მოჩანს მთელი ზემოიმერეთი: პერანგასა და ლიხის შორეული მთები, გორაკზე შეუფინილი სოფლები, ყვრილას ატეხილი ჭალები, ჩიხურას ღოდებიანი კალაპოტი...

საიდან მოხულან და როდის დასახლებულან ამ მიდამოებში წერეთლები?

ზემო ქართლში, მდინარე ტანას ხეობაში ორი სოფელია — დიდი და პატარა წერეთი. ამბობენ, წერეთლების წინაპრები იმერეთში ამ სოფლიდან მეთოხმეტე საუკუნის დამლევს გადმოვიდნენ.

ძველად საქართველოში ყოველი დიდი გვარი საკუთარ ციხესიმაგრეს იშენებდა. წერეთლებს ასეთი ციხესიმაგრე საჩხერის თავზე აუშენებიათ და „მოდინახე“

დაურქმევიათ. რატომ დაარქვეს „მოდინახე“?

არსებობს ლეგენდა:

აკაკის შორეულ წინაპარს პაპუნა წერეთელს ვინმე დავით აბაშიძის ქალის შერთვა განუზრახავს. ამ დავით აბაშიძეს პაპუნასათვის შემოუთვლია: მე იმ კაცს ქალს როგორ მივეცე, ციხე რომ ვერ აუშენებიათ. პაპუნა წერეთელი ამდგარა და საჩხერის თავზე რომ მოხვის დანგრეული ციხე მდგარა, იმ ციხის ოთხივე კოშკის ბურჯები აუშენებია, შიგნით ეკლესია აუგია, ჭირნახულის შესანახი ხაროები ამოუთხრია, დიდი ქვევრები ჩაუყრია, ციხეში მეციხოვნეები ჩაუყენებია და მოციქულების პირით აბაშიძისათვის შეუთვლია: ციხე ავაშენე და მოდი, ნახეთ.

აკაკის მამის მამა როტომი და მისი ძმა სვიმონი იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონის უახლოესი ადამიანები ყოფილან. იმერეთი რომ რუსეთს შეერთებია, სოლომონ მეფე დაუტყვევებიათ და თბილისში ჩამოუყვანიათ. მას თან სლუბიან ორსტომი და სვიმონი. მათ მფუსათვის ხელი შეუწყვიათ, რომ თბილისიდან გაპარულიყო. გადამცულ მეფეს სხვებთან ერთად თბილისგარეთ დახვედრიან და ახალციხისაკენ წაუყვანიათ, იქიდან სვიმონს მეფე თურ-

ქეთში, ტრაპიზონში ჩაუყვანია, მეფე იქ გარდაცვლილა და სვიმონს დაუმარხავს.

1910 წელს პარიზში ხდებოდა მიმავალ აკაკის ტრაპიზონი დაუთვალეობები. მეგზურს რაკი გაუგია, აკაკი ქართველიაო, ბერძნების წმინდა გიორგის ეკლესიაში გურჯის, ე.ი. ქართველის საფლავთან მიუყვანია. ის გურჯი გალაფანში, ოთხსვეტიან თაღქვეშ დასაფლავებული სოლომონ მეფე ყოფილა.

აკაკის დედა — ვატერინე, ივანე აბაშიძის ქალი, იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ასულის — დარეჯანის შვილიშვილი იყო და ამრიგად დედის მხრიდან აკაკი მეფის გვარს უკავშირდებოდა.

წინაპრების ნაფუძვარზე აშენებულ სახლში 1840 წლის ცხრა ივნისის გან-

თიადზე აახელს თვალს აკაკი.

მგრამ ახალდაბადებულ აკაკის სხვიტორის სასახლეში ღიბხანს არ გააჩერებენ. მაშინდელი ჩვეულების თანახმად სვანეთში, საღუნის შვილების ოჯახში გააძიებენ. „ძიძაობა და ყმაწვილის სოფელში გაბარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენშიო, — ამბობს აკაკი, — მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდნენ და აზრდევინებდნენ თავის შვილებს, ერისთავები და დიდებულები — აზნაურებს და აზნაურები კი — გლეხებს; უფრო ხშირად თავადებიც გლეხებს აზრდევინებდნენ...“

საქანე. ძიძის ოჯახში. ღაბრუნება და პირველი დღე სხვიტორში

სხვიტორიდან სვანეთში აკაკის ერთი გადარჩევა ძლივს იქნება, უფრო შორს

დედა შვილს გასაგზავნად ვერ შეელოდა.  ძიძის ქოხი საფლავი ლესიის გვერდითა და ბავშვებს თამაში სვანის ეკლესიის ეზოში უყვართ, დიდი მუხის ძირში, რომელიც დღემდე ამაყად დგას ეკლესიის ეზოში.

პატარა აკაკი თვალყურს აღევნებს და მონაწილეობს გლეხკაცის საქმიანობაში, პირუტყვს უურს უღდებს, ფრინველს უდღის, უფროსებს სადილ-ვახშმის მომზადებაში ეხმარება. იცის, მიწა როდის უნდა მოიხნას, როდის რა დაითესოს, სიმინდის ყანა როდის გაითოხნოს, პური როდის მოიხკას, ვაზი როდის გაიხხელას... მატყლის ჩეჩვასა და ბამბის პენტვასაც კი სწავლობს. ძიძიშვილებს დაპყვება სამწყვესურში, მინდვრად და ტყეში, უქულოდ, ფეხში შევლი, დაღამებამდე მწყემსებთან არის. ხუხუღა





სახლებს, ბედელ-სასიმი-
დე-წისკვილებს აშენებს,
თავის გამოჭრილ რიკტა-
ფულასა და თავისი ხელით
დამზადებულ ბურთს დას-
დევს, შვილდ-კოდალასაც
თავისი ხელით იკეთებს.
ექვსი-შვიდი წლისა ის ნამ-
დვილი ბუნების შვილია:
ტანმრთელი, მალხაზი, კე-
თილი, ყველას მოხიყვარუ-
ლე, ბედნიერი... ამ ბედ-
ნიერებას მხოლოდ სსახ-
ლიდან ჩამოსული სტუმრე-
ბი ურღვევენ.

„დღეს ბატონები მობრ-
ძანდებიან!“ — იტყვის ძი-
ძა. აკაკის გაწმენდს, გაბანს,
მორთავს. სხვიტორიდან სა-
ვანეში ღიდის ამბით და ამა-
ლით ვაატერიხე და როსტომ
წერეთლები გამოვლენ. მოე-
ლი სოფელი ცქერად გადი-
ქცევა; ბავშვები ჩირვებში
იმალებიან და იქიდან იუუ-
რებიან, ბატონების მხლებ-
ლები მოწიწებითა და აღერ-
სით ეპყრობიან აკაკის, მაგ-
რამ აკაკის ველ-მინდვრები
და სამწყემსური ეძახის.

ექვსი წლის აკაკი სავა-
ნეს გამოემშვიდობება და
სხვიტორს დაბრუნდება.
ბავშვს ყველაფერი უცხო-
ვება. ყველანი გარს ეხვე-
ვიან, ჰკოცნიან...

სადილობის დრო მოსუ-
ლა.

დარბაზში ოცი-ოცდა-
ათი ფარეში შემოიჭრება და
შუა ოთახში გაჩერდება. ერთ
ტახტზე ბატონები ჩამწყრივ-
ლებიან, პირდაპირ, მეორე

ტახტზე ახნაურიშვილები
დასხდებიან და თავში
მღვდელი დაუჯდებათ.

მალე კიბუზე მოურავი
დაახველებს, სადილს შე-
მოუძღვება და სვეტს მიე-
ყუდება. ხელოსნები ხელკა-
ლაობით პურს, მზარეულე-
ბი კი ქოთნებითა და ქვაბე-
ბით საჭმელებს შემოიტანენ.
სუფრა საჭმელთ ივსება.
როსტომს წინ დაუდგამენ
ასო-ასოდ აქნილ რაჭულ
ხბოს. როსტომი აქნილ
ხბოს ხორცს თავისი ხელით
სუფრაზე ხან ერთს უგზავ-
ნის, ხან — მეორეს. აკაკი
ხედავს, რომ ის ბიჭები,
რომლებიც მსხდომთ თავზე
აღვანან და მათ ჭამას უყუ-
რებენ, ტუნებს აცმაცუნებენ.
ამ ბიჭებში აკაკი თავის ძი-
ძიშვილსაც შეამჩნევს, —
ამბაკოს. ამბაკო აკაკის
თვალს უხამს. აკაკი მიხვდე-
ბა, ძიძიშვილს რა უნდა;
ხელს გააბარებს, მამას შუა-
ძვალს ააცლის და ამბაკოს
გადაუჯდება. ბიჭი დაიჭკრს
და უბეში ჩაივდება. აკაკის
საქციელს მხოლოდ დედა
დაინახავს და ეტყვის:

— შვილო, მარტო მაგას
რომ მოუკითხე, სხვებს ხომ
გული დასწვდებათ, იმათაც
მოუკითხე!

აკაკი სიამოვნებით უს-
რულეებს სურვილს დედას.

სიცილში, ხუმრობაში
და მუსაიფში სადილობა გა-
თავდება. აკაკის სასტუმრო
ოთახში შეიყვანენ და ეტყ-
ვიან: „ძილი რომ მოგინდეს,
ტახტზე წამოწვიო“. კარს

მოუკეტავენ და მარტო და-
ტოვებენ. ფიქრამ მისი
თული აკაკი უცებ გრიალს
ვაიფონება. კედელზე რომ
კოლონას, შეინძრევა, კარი
გაიღება, გუგული გამოხ-
ტება; სამჯერ „გუგუს“ დაი-
ძახებს და ისევ შეიმალება.
თავზარდაცემული აკაკი
ფეხზე წამოვარდება; „გუგუ-
ლი ბუდეს როდის იკეთებს,
კვრცხებს სხვის ბუდეში
სდება, ალბათ მერცხლის
ბუდეა და იმაზე ზისო, მილი,
მივეპარები და ქულს დაე-
ფარებო“, გაიფიქრებს. ფე-
ხაკრეფით მიეპარება, სკამს
დაიდგამს, ზედ შედგება,
მაგრამ მაინც ვერ ასწვდება.
საათი მაღლა არის ჩამოი-
ღებული. ახლა სკამს სკამზე
დადგამს, შეეპოტინება, მაგ-
რამ სკამი გაუსხლტება,
გამდმოვარდება და იატაკზე
ბრავგანს მოადენს. ხმაურზე
მეორე ოთახიდან გამოცვივ-
ლებიან, იატაკზე გაშხლარ-
თულ აკაკის რომ დაინახა-
ვენ, შეეშინდებით, მაგრამ
რაკი დარწმუნდებიან, არა
უჭირს რაო, სიცილს ასტე-
ხენ; აკაკის შურცხევა, ტი-
რილს მორთავს, გული
ამოუჯდება და ვეღარ გაჩე-
რებენ, სანამ მისი უფროსი
და, ანა, ხელს არ მოჰკიდებს
და არ წაიყვანს სამთახლო-
ში, სადაც მისი ძიძა დახ-
ვედა...

აი, ასეთი იქნება სავანი-
დან დაბრუნებული აკაკის
პირველი დღე დედ-მამის
ჭერქვეშ სხვიტორში.



პა. ბურთი და მოედანი!

ბივი ჭიჭინაძე

მზე დასწყერის ალუებს, თულებს.
ბრწყინებს მწუხანე მოედანი.
შაწყინა ფეხბურთელებს
იჩნებს ორი კაპიტანი:

- არჩეუანი!
- არადანი!
- მე ლეენი!
- მე მუსრანი!
- მე გიორგი!
- მე ჰაბია!
- მე არნილი!
- მე ელდარი!
- ბუქა!
- რატი!
- ლაშა!
- დანი!
- სეზვა!
- ვაჟა!
- გულა!
- მათე!

ზოგი მარცხნივ,
ზოგი მარჯვნივ,
სხვა ბიჭების
შეუმატენ.
აიჩნებს ასანჩევი,
ის ჩათვალს მსოფლდ ღირსად,
ვინც მარდია, ვინაც შუენის
მუხლი მულის, ფრთა შევარდნისა,
არ გასულა დიდისანი
და ჩაპბურა მსაჯამც ხასტვენს:
— პა, ბურთი და მოედანი!
სხვა ხანასავს რას ინატრებოთ!



არჩილის დედა და ბაქარის მამა დაძმა არიან. არჩილი და ბაქარი რა ნათესავები იქნებიან ერთმანეთისა, ეგ უკვე თქვენ გაარკვიეთ.

არჩილი ექვსი წლისა და ოთხი თვისაა, ბაქარი კი — მხოლოდ ორი წლისა. რამდენი წლით უფროსი ყოფილა არჩილი ბაქარზე, ეგვეც თქვენ გამოიცანით.

როცა არჩილი სკოლაში მიდის, ბაქარი შინ რჩება და ერთთავად მამიდაშვილზე ფიქრობს. ედარდება, გზაზე წინდაუხედავად არ იაროსო და ორმომში არ ჩავარდესო; გაკვეთილზე არ დააგვიანდეს და მასწავლებელი არ გააჭავროსო; ამხანაგებს არ აწყენინოსო; ცუდმა ბიჭებმა არ სცემონო. ცუდი ბიჭები ხომ კიდეც არიან ქვეყნად! ისინი ქვეებს ისვრიან წაღმა-უკულმა, პატარებს ჩაგრავენ და ჩიტებს ხოცავენ. ჰოდა, ედარდება ბაქარს, ზოგჯერ ტირის კიდეც. დედას კი ჰგონია, რაიმე სტიკვა და იმიტომ ტირისო. ისიც კი ედარდება ბა-

ქარს, ჩემმა მამიდაშვილმა წიგნი არ დახიოს, არ დასვაროს, ჩანთას რაღაც მოედოს ცეხები არ დახატოს ზოგიერთი თარსი ბიჭვით, ანდა სკოლის კედლები და მერხები არ დაჩხანოსო. თუ ხატვა უყვარს, რვეულში უნდა ხატოსო. როცა გაიზრდება და ნამდვილი მხატვარი გახდება, კედლებს და შენობებს მაშინ მოახატვინებენო. ნანახი აქვს ბაქარს არჩილის სკოლა და ძალიან მოსწონს. არ უნდა, რომ მისი კედლები ვინმემ დაჩხანოს.

არჩილიც ბევრს ფიქრობს თავის ბიძაშვილზე. საფიქრელიც არის: მამამისი რედაქციაში მუშაობს — გაზეთებს რომ ბეჭდავენ, დედა საექიმო ინსტიტუტში სწავლობს და ორივენი დილითვე გადიან სახლიდან. მართალია, პაპა და ბებია ჰყავთ, მაგრამ ისინიც ჭერ ისევ ახალგაზრდებზეთ არიან და სამსახური აქვთ. ბაქარს კი ბ ა ტ უ ა ქეთევანის იმედად ტოვებენ.

ბატუა ქეთევანი ვინლაო, — იკითხავთ. ქეთევანი ბაქარის პაპის დედაა და ბატუასაც იმიტომ ეძახიან, რომ ბებიაში არ შეეშალოთ.

— ბატუა! — დაიძახებს ბაქარი და ქეთევანი შეაგებებს ღიმილს.

— ბებია, დაიძახებს ბაქარი, და მერი ბებია გარბის მისკენ ახალგაზრდული სიმკვირცხლით. დაიძახებს, — დედაო, და ისიც მზადა ჰყავს, მამაც, მამიდაც და ვინლა არა. ერთი სიტყვით, აწყობილი საქმე აქვს ბაქარს, როცა ყველანი შინა ჰყავს. მაგრამ როცა სამუშაოზე მიდიან და ბატუა ქეთევანის იმედად რჩება, მაშინ ედარდება ყველაფერი. არა მხოლოდ ბაქარს, არჩილსაც. რატომო, — იკითხავთ? აკი გითხარით, ბატუა ქეთევანი პაპის დედაა-მეთქი და პაპის დედა რომ მოხუცი იქნება, ამას რა დიდი გამოცნობა უნდა. არც იმას უნდა გამოცნობა, მოხუცებს რომ სიარული უჭირთ და წელ-მუხლი სტიკვით. მა-

თავ პატარეზივით ზრუნვა-აღერის სკირ-
დებათ და არა სხვებისაგან შეწუხება. ჰო-
და, არჩილს ამიტომ ედარდება ბაქარცა
და ბატუა ქეთევანიც. ხომ შეიძლება, რო-
ცა ბატუა ბაქარს ეთამაშება, კარზე ან
ტელეფონზე დარეკონ და ადგომა დასკირ-
დეს? როგორ უნდა ადგეს და მივიდეს
ოთხმოცი წლის მუხლებით? კიდევ კვნი-
სა-კვნიცი წამოდგეს და მივიდეს როგორ-
მე, ამასობაში ბაქარი რომ საითმე გარაც-
რაცდეს, ფეხი წამოჭკრას რალაცას და
ცხვირი გაიტეხოს, რა ეშველება?

ეგვეც არ იყოს, ხომ შეიძლება, როცა
გაჭურაზე საკმელს უშაადებს, ბაქარმა
საკერავ მანქანაში თითი შეყოს და ნემსი
იჩხვლიტოს. ბაქარი ატირდეს, ბატუა ქე-
თევანმა კი გაჭურა მიატოვოს და ის გემ-
რიელი ფიაფუები გადმოუვიდეს ან სუ-
ლაც ქვაბმა მიიწვას.

რატომ საბავშვოში არ მიიყვანესო? იქ
უფრო ტირის, ვიდრე ბატუა ქეთევანთან,
და ჭერჭერობით, სანამ კიდეც უფრო
მოიზრდება, ასე ურჩევნია.


ერთი სიტყვით, ბევრი აქვს არჩილს სა-
დარდელი.

საქმე ის არის, თუ ბაქარს კარგად ვერ
მოუვლიან, ვერც ფეხბურთელი გამოვა,
ვერც კოსმონავტი, ვერც მხატვარი, ვერც
ექიმი და ვერც ინჟინერი. ეგ კი არა, ვერც
მეცხვარე დადგება და ვერც — მევენახე,
ვერც — კარგი ხაბაზი. ცული კი, გინდა
ყოფილა და გინდა არა. პაპა იტყვის ხოლ-
მე, ცულად პროფესორს კარგი მექოთნე სჯო-
ბიაო.

როგორც კი უკანასკნელი ზარი დაირე-
კება, არჩილი გულისფანცქალით გარბის
შინისკენ. ბიძაშვილის ნახვა ეჩქარება.
ბაქარიც სიხარულის ჭყვილით ეგებება
თავის მამიდაშვილს. ერთმანეთის დანახვა
უხარიათ და აღარ იციან, რა ქნან. არჩილს
ეჩვენება, რომ გუშინდელთან შედარებით
კიდევ უფრო გაზრდილა და გალამაზებუ-
ბულა მისი ბიძაშვილი. ყოველდღე თუ
ასე სწრაფად გაიზარდა და გალამაზდა, რა-

და ამირანი და ასფურცელა და რალა ბაქა-
რი! მალე აღბათ მაგაზე ღონიერი და მშვე-
ნიერი მთელ დედამიწაზე აღარავინ რჩებ-
და.

ღმერთო, ულხინე ყველა პატარას!
ისეთები დაზარდე, რომ მარტო თავიანთი
შრობებით და მამიდაშვილები კი არა,
მთელი ქვეყანა გაეხარებინოთ! ულხინე
მათ დედ-მამას, პაპა-ბებიას და ყველა ნა-
თესავს, ვინც მათ შეჭარბის! ოთხმოც
წელს გადაცილებული ბატუები და პეპე-
რებიც არ დაგავიწყდეს, ღმერთო, თუ ვინ-
მეს შერჩენია. დიდხანს აცოცხლე ის კე-
თილები, ძალა და შეძლება გაუორკვეც,
რომ შვილთა შვილიშვილებიც კარგად
დაზარდონ. მერე კი, როცა მათი დაზრდი-
ლები დიდები გახდებიან, ექიმობას ის-
წავლიან, ყველა ავადმყოფების წამლო-
ბას შესძლებენ და აღარც ბებრები დაი-
ხოცებიან.



მხატვარი ვაჟა ქარხული



ჩვენ, პატარებს

ლია ასათიანი

მოწვენილებს ვერ გვიბოვით
 ჩვენ, პატარებს, ერთი წამით.
 გვიუვარს ჩვენი მიწები და
 ეზო-კარის უვავილნარი.
 გვხიბლავს წვიმის შხაპა-შხუპი,
 მზე კაშკაშა, ნიაჟარი,
 ზღვა და ქვიშა, მთა და ბარი
 არის ჩვენი მეგობარი.
 ზღვაში ვცურავთ,
 ცაში დავფრენთ,
 დავსრიალებთ თხილამურით,
 არც სიმათლის, არც სისწრაფის
 შიშით არ შეგვრს ჩვენი გული.
 გვიუვარს დედა, გვიუვარს მამა,
 დები, ძმები, მეგობრები.
 გვიუვარს მთელი საქართველო
 და ღამისი სიმღერები.
 გვიუვარს ღამით ზღაპრის გუდა,
 სიხარული მოაქვს დიღას,
 მოწვენილი ეოფნა ჩვენი
 ჯერ არხად არ ვაგონილა.





აკაკი ბალოვანი

ფრესკა კედლის მხატვრობის ერთ-ერთი სახეობაა. რატომ ეწოდა ასე?

«ა ფრესკო» იტალიურად იგივეა, რაც ქართულად ახალი, ქორფა, ცვრიანი. კირის ახალი ბათქაშით შეღვსილ, ჯერ კიდევ ნოტიო კედელზე შესრულებულ მხატვრობას ამიტომ ვუძახით ფრესკას. ფრესკა საუკუნეებს უძღვება. ჩამქრალი კირი ხომ დროთა

მანძილზე მაგრდება და ქვადდება, მაგრდება საღებავიც, რომელიც ოსტატს დროულად და ზომიერად გადააქვს კედელზე.

ფრესკული მხატვრობა ძველი ოსტატების საფვარელი ხელოვნება იყო. მათ ავალებდნენ ეკლესიებისა და სასახლეების მონატვას მეფეები, პერცოვები, პაპები, კარდინალები — გავლენიანი ადამიანები.

ფრესკულად ხატავდნენ ქრისტეს, წმინდანებს, ბიბლიურ გმირებს, მათი ბრძოლებისა და წამების ამსახველ ამბებს.

ფრესკული სახეების უმეტესობა ამაყია, დინჯი, ბრმენი, ძლიერი ნებისყოფისა და სპექტაკი სულისა. ქალზე რომ იტყვიან, ფრესკიდან გადმოსული გვეჩვენებო, — ეს დიდი ქებაა.

ოცი-ოცდახუთი ათასი წლის წინათ პირველი ფრესკებით დაუმშვენებიათ აფრიკის,

19.037



სსრკ-ის მწერალთა კავშირის საბ. სახ. ინსტუტის ბიბლიოთეკაში



მიქელანჯელო. სიქსტის კაპელის მოხატულობის ფრაგმენტი.

ესპანეთის, საფრანგეთის გამოქვაბულების კედლები. ეს სურათები შესრულებულია კირით, ფანგმიწით, რძითა და სისხლით შეზავებული გასაოცარი საღებავებით.

შემდეგ ფრესკული მხატვრობა განვითარდა ვევიბტეში, კრეტა-მიკენში, საბერძნეთში, რომში. პომპეაში (იტალია) მეცნიერებმა აღმოაჩინეს შესანიშნავი ფრესკები, რომლებიც მთელ ქალაქთან ერთად ჩამარხა ფერფელში ვულკან ვეზუვის ნიაღვარმა ამ ორი ათასი წლის წინათ.

შუა საუკუნეებში, 1300 წლიდან, იტალიელმა დიდოსტატმა ჯოტომ, შემდეგ კი მიქელანჯელომ, რაფაელმა, მასაჩიომ, პიეტრო დელა ფრანჩესკამ, კორეჯომ, მანტენიამ, კარაჩიმ, ტიებოლომ და სხვებმა ფრესკის ხელოვნება უმაღლეს საფეხურზე აიფიქრეს. მათ გამოთვინეს ახალი მხახალა და საღებავები.

ახალი ძალით გაგრძელდა ფრესკული მხატვრობა მოგვიანებით. ცნობილია რუსეთის ეკლესია-მონასტრების ჩინებული მონასტულობა.

საქართველოში ფრესკული მხატვრობა და მოზაიკა უძველესი დროიდანაა ცნობილი. უთვალავი ტაძარი, ეკლესია, სასახლე იყო

დამშენებული დიდებული ფრესკებით. არავინ იცის, რამდენი ფრესკა მოსპო მტრის ურდოების თარეშმა, რამდენი ჩაიძარხა ნანგრევებში, რამდენი გადაშალეს, მაგრამ რაც ჯამთა სიავეს გადაურჩა, ისიც საამაყო და ძველი ქართველი ოსტატების მაღალ ხელოვნებაზე მეტყველებს.

ქართული ფრესკის უდიდესი ოსტატია დამიანე, რომელიც XIV საუკუნეში ცხოვრობდა. დამიანემ და მისმა მოწაფეებმა მონატეს უბისის ტაძარი (ძირულის ახლოს, სოფელ უბისაში). დიდი ქართველი მხატვრის ამ ნამუშევრებს ხალხი დღესაც შეჰხარის.

დიდებულია ნიკორწმინდის, ვარძიის, გელათის, უდაბნოს, ბეთანიის, წალენჯიხის, ვინწვისის, სორის (რაჭა), ხობის (სამეგრელო), მაცხვარიშის და იფრარის (ზემო სვანეთი), ზემო კრისხის, ატენის, კობერის ძველი ქართული ეკლესიის და სხვა ეკლესია-მონასტრების ფრესკები. მაგრამ ჩვენს ფრესკული მხატვრობის დიდი ნაწილი (სიონი, სვეტიცხოველი, ალავერდი, სამთავისი და სხვ.) შეათეთრეს საქართველოში რუსი უმაღლესი მღვდელმთავრების — ეგზარქოსების «მზრუნველობით» მე-19 საუკუნეში.



ბავშვებო, გთავაზობთ თამაშს, რომელიც დაკავშირებულია ქართული ენის ცოდნასთან და... მათემატიკურ აზროვნებასთანაც. მისი მეშვეობით შეძლებთ შეამოწმოთ, ქართული სიტყვების რა მარაგი გაქვთ; ის ხელს შეგიწყობთ დაკვირვებულობის, წესრიგიანობისა და ნებისყოფის გამოქოშამებაშიც.

მაშ ასე, ავიღოთ ჩვენთვის კარგად ცნობილი სიტყვა „დილა“ და ვცადოთ ამ სიტყვაში შევავალით ოთხი ახოსაგან სხვა სიტყვების შედგენა ისე, რომ თითოეული ასო მხოლოდ ერთხელ გამოვიყენოთ.


რა სიტყვები ჩაიწერება სიტყვისაგან „დილა“? ესე-

მეცხეები



ნია: ალი, ადლი (ძველებური სახომი ერთეული); და (სანოტო ნიშანი) და კიდევ ორი სიტყვა, რომლებსაც, იმედია, თვითონ მიაგნებთ. მართალია, ამ სიტყვისაგან შეიძლება გამოვიყვანოთ ქალის სახელებიც — ლია, დალი, ილა, მაგრამ საკუთარი სახელები, უშეზღოვანია, არ ჩაწერთ. უფრო საინტერესოა რაიმე ცნების აღმნიშვნელი სიტყვების მიგნება.

ამ თამაშში გამარჯვებული, ცხადია, ის იქნება, ვინც ყველაზე მეტ სიტყვას ჩაწერს. მოიმარჯვეთ რაიმე სიტყვა, ვთქვათ, **ზნობილა** ან **სასიქადლო** (ანდა რა სიტყვაც თქვენ მოგეზურებათ) და შეუჯიბრეთ ერთმანეთს.



ჭიჭი

საპარიკელოს ალკა გვ-ისა და ვ. ო. ლეონის სახელმწიფო პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს შერჩეული უმცროსკლასელთათვის.

გამოღის 1904 წლიდან.
საქ. კა ცვ-ის გამოცემლობა.

შთავარი რედქტორი
რეჟავა ინანიშვილი

სარედაქციო კოლეგია: მღვდრ დ. აბო-ბაძე, პანენა პოპია, ლამარა ბაბუა, ანთო გვირაძე, შირი ლამია-შვილი, სოლომონ დუშუბინაძე, ლეილა პრამ, გულა ლესაბერიძე, მარკალა მრეველიშვილი, ჯურხა ნაღორაძე, თინათი ნალაური (პ/მ. შვიდია), ბიბი ძვალაძე, ბიბი ბიბიანიძე.

სამხატვრო რედქტორი
ბიორა ბიბიანიძე

ტექნიკური რედქტორი
ნელი ვარკეთილი

შისამართო: რედაქციის, გამოცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის 14. ტელ. ში. რედაქციის 93-41-30, 93-98-16; პ/მ. შვიდის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქციის—93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაცემა ასაწიოდ 20.05.89 წ., ხელმოწერილია დასაბჭოდ 25.07.89 წ., ქაღალდის ზომა 60×90, ფხ. ნაბ. შურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეკვეთა № 1248

ფლავ ნახტი
ზაზრ ლეონიძისა

«Дила» («Утро») — Ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина, для младшеклассников, на грузинском языке. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Реваз Инаншвили (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14. Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 1248

6 №114

ინგლისური ხალხური ლექსები



თარგმნა **გიორგი ნიჟინაძე**



კერძებს დებს ჩემი დედალი,
შავი და შუქუნდავი,
ლორდის შვილები მოდიან: —
რა ჯიშისაა ნეტავი?
დმერთმანი, კარგიც არ ვარცა
უხოძო და ნამეტანი!



დასხედით და მოგეუებით
ბუძეუბის და საჭმლის ამბავს:
ბიჭებს დოსჯან აწხადებენ,
კოგოებს კი — ნამცხვრისჯან.

პიპერ-პაპერ, ქარი დაპპერს,
თუქვი ზღვაში შუვა.
— თუ თქვენ კარგი გოგო გინდათ,
სერ, ის გოგო მე ვარ!



მე რომ შეავდა ქათამი,
არა ჰეავდა ბადალი,
ჭურჭელს რეცხდა, იტეოდი,
ეს ქათამი რად არის?!
დილიდანვე იჭერდა
სადილ-ვახშმის თადარიგს,
პურს აცნობდა და ცივ ლუდს
წინ მიდგამდა კარდალით,
ცეცხლთან აშეებს ჰევებოდა
ვევსი და ადამის...

